572
1957

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლილა

„ოცდაცდა, რურა ქვეანა,
ოცდაბინა, ოცდა ამარეო,
და ამა, ქარდაცდა, ხეცდაცდა
ხალამოცდი ცალანარეო!“

№ 7 საკავშირო ცენტრალური კომიტეტის ჟურნალი მეცრეფლოვანთათვის ივლისი 1957

გემი „პიონერი“ და მისი ეკიპაჟი

ნათელა ფაილოძე

ნახატები მ. ბელოვანისა

ბათუმში არის ერთი პატარა ზღვა და ზედ დადის პატარა თეთრი გემი. გემს სახელად ჰქვია „პიონერი“, მის კაპიტანს, როგორც ყოველი გემის კაპიტანს — კაპიტანი და მეზღვაურებს— მეზღვაურები.

კაპიტანს აცვია კაპიტნის ფორმა, მეზღვაურებს მეზღვაურის ტანსაცმელი. გემის საჭესთან დგას მესაჭე. და გემი მიჰყავს, მეზღვაურები წინ და უკან დარბიან და კაპიტანიც თავის ჯიხურთანაა გაჭიმული.

—უუ-უ!—გუგუნებს საყვირი და გემი მიაპობს ტალღებს.

მერე რაა გასაკვირი! გემმა ზღვაში უნდა იაროს, აბა, ხმელეთზე ხომ არ ივლის, და მას კაპიტანიც უნდა ჰყავდეს, მეზღვაურებიცა და მგზავრებიც.

მაგრამ ზღვა, სადაც ეს გემი დასეირნობს, ზღვა კი არ არის, ნურიგულას ტბაა და დიდი შავი ზღვიდან რალაც ასიოდე მეტრითაა დაშორებული. არც ის გეგონოთ, რომ გემს ნამდვილი მეზღვაურები ჰყავდეს და ნამდვილი კაპიტანი მართავდეს. არა, გემის ეკიპაჟი ბავშვები გახლავთ, რომელთაც მეზღვაურის ტანსაცმელი აცვიათ და თქვენზე ბევრად უფროსებიც არ არიან. მათ ნურიგულა დიდ ოკეანედ წარმოუდგენიათ, პატარა გემი „პიონერი“—დიდ ხომალდად და საკუთარი თავი კი შორეული ზღვების მამაც მეზღვაურებად. მართალია, ჯერ არც ერთი ახალი კუნძული არ აღმოუჩენიათ და მათი გემიც ტბის ნაპირებს არ გასცილებია, მაგრამ მერე რა, შემდეგში ხომ უამრავი საგმირო რამ მოელით...

გემი „პიონერი“ ათი-თორმეტი წლის წინათ ჩაუშვეს ბათუმის ლენინის სახელობის პიონერთა პარკის ამ პატარა „ზღვაში“ და მას იმდენი გზა აქვს უკვე გავლილი ერთი ნაპირიდან მეორემდე, რომ დიდი ზღვების გემსაც შეშურდებოდა.

„პიონერს“ მუდამ უამრავი „მგზავრი“ ჰყავს. ნავსაყუდელთან ბავშვების გრძე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

7269

ლი რიგია ჩამწკრივებული. „პიონერი“ ჯერ რეიდზე დგას და ბოლავს, მგზავრები კი ბილეთებს იძენენ. ზოგს მოთმინება არ ჰყოფნის და ურიგოდ უნდა წავიდეს, მაგრამ გემზე მტკიცე წესრიგია დაცული.

— თქვენი ბილეთი, ამხანაგო?— ზრდილობიანად ეკითხება მეზღვაური მოუთმენელ მგზავრს,—რიგს ნუ დაარღვევთ.

გემზე ორმოცამდე მგზავრი იყრის თავს. კაპიტანი ამ დროს ჯიხურთან

დგას და დინჯად ადევნებს თვალყურს ეკიპაჟის საქმიანობას. რამდენი საზრუნავი აქვს მას! ხომ შეიძლება სულ მცირე რამ გამორჩეს და მერე „შუა ზღვაში“ გაუჩერდეს გემი.

აი, კაპიტანმა გასცა ბრძანება და გემი შორდება ნაპირს. მას შურის თვალით აცილებს ნაპირზე მდგომი „დამხმარე რაზმი“. ისინი გემის მოხალისეები არიან, რომელთაც მგზავრობის უფლება კი აქვთ, მაგრამ გემის მართვისა—არა. მათ ჯერ არც მეზღვაურის ფორმა გააჩნიათ, მაგრამ მეზღვაურებს ოდნავ მაინც რომ დაემსგავსონ, ერთს სადღაც მეზღვაურის ქუდი უშოვია და ის დაუხურავს, მეორეს ლურჯზოლებიანი მაისურა ჩაუცვამს, მესამეს მეზღვაურის ქამარი შემოურტყამს. აბა, ეს რა მეზღვაურია, რომელსაც მთლიანად არც ფორმის ტანსაცმელი გააჩნია და არც გემის მართვას ანდობენ! მაგრამ ისინი მაინც დიდ ფაციფუცში არიან. მარტო ის რად ღირს, რომ გემის ბაგირს ხელი შეავლონ!

„ზღვაზე“ გუგუნით მიმავალი „პიონერის“ გემბანზე ამაყად ფრიალებს წითელი დროშა, რომელიც თბომავალ „პობედის“ კომკავშირლებმა აჩუქეს „პიონერსა“ და მის ეკიპაჟს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ შუა „ზღვაში“ გასულ „პიონერს“ რაიმე გაუჭირდა, მეზღვაურები თვითონვე ახერხებენ მის შეკეთებას. მექანიკოსები ძრავს დაათვალიერებენ და გასწმენდენ, თუ საჭიროა, ძრავს „წყლის პერანგს“ გამოუცვლიან და გამაგრილებელი სისტემაც მოწესრიგებულია. „პიონერზე“ ყველაფერი ელავს და კრიალებს, ისეთი სისუფთავეა.

მომავალი მეზღვაურები თავიანთ საქმეს იქვე, პარკში, ნორჩ მეზღვაურთა წრეში სწავლობენ: აქ ორმოცამდე ბავშვი იქნება, თუმცა მეცადინეობის მსურველი ბევრზე ბევრია: „დამხმარე რაზმი“ ხომ ყოველდღიურად ნავსაყუდელის ნაპირზეა ატუზული და ყველას სურს, მეზღვაური გახდეს. წრეში ორი გუნდია ჩამოყალიბებული და თითოეულ გუნდს თავისი კაპიტანი ჰყავს. ბავშვებს კვირაში ორჯერ აქვთ მეცადინეობა. ისინი აქ სწავლობენ გემის აგებულებას, ზღვაზე იალქნიანი ნავის წაყვანას, პატარა ალმებით მუნჯური სიგნალების მიცემას და კიდევ მრავალ სხვა საინტერესოს.

გემი „პიონერი“ პარკის სხვა გართობა-თამაშშიც იღებს მონაწილეობას. აი, დღეს „ზღვაზე“ დიდი კოცონი უნდა აანთონ. წინასწარ მომზადებული ხეებისგან ფიჩხი ტივზეა დაწყობილი.

საღამო ხანია... უეცრად პარკში სინათლე ქრება და მხოლოდ „პიონერის“ გემბანზე ინთება ნათურები. პატარა მეზღვაურებსა და მგზავრებს ხელში ანთებული ჩირაღდნები უჭირავთ. „პიონერი“ ნელა მიჰყვება ნაპირს. ხოლო ტბაზე მოცურავე ტივს ყოველმხრივ ბავშვებით სავსე მრავალი ნავი უახლოვდება. ნავში მყოფთ ანთებული ჩირაღდნები უჭირავთ და გეგონებათ, ტბას ციცინათლების ლაშქარი შესევიაო. აი, ისინი მიცურდნენ ტივთან, ავიდნენ ზედ და კოცონიც აგიზგიზდა...

ასე ატარებენ დროს „პიონერის“ ეკიპაჟი და მგზავრები. გემს მუდამ დიდძალი სტუმარი ჰყავს. ვინც კი ბათუმში მოხვდება, არ შეიძლება ეს მშვენიერი პარკი და მისი „ზღვა“ არ ინახულოს და ამ გემით არ ისეირნოს.

ზაზა

ედიშერ ყიფიანი

ნახატი შ. ცხადაძისა

კვირა დღე იყო. დედა სამზარეულოში სადილს ამზადებდა. მამა ოთახში იჯდა მაგიდასთან, წიგნს კითხულობდა და წერდა, კითხულობდა და წერდა. მეორე ოთახში რადიომიმღებიდან სიმღერა მოისმოდა. ზაზა სამთვალა ველოსიპედზე შემჯდარიყო და წინ და უკან დააქროლებდა—სამზარეულოდან დერეფანში, დერეფნიდან ოთახში.

— ზაზა!—დაუძახა დედამ.

ზაზამ ველოსიპედი სამზარეულოს კართან მიაყენა.

— რა იყო, დედა?

— მამას უთხარი, რადიოს ცოტა ხმა აუწიე, დედას არ ესმის-თქო.

ზაზა ველოსიპედიდან ჩამოხტა და ოთახში შეირბინა.

— მამი, დედამ თქვა, რადიოს ცოტა ხმა აუწიე, არ მესმისო.

მამამ იმ ოთახისკენ გაიხედა, სადაც რადიომიმღები იდგა, მერე ზაზას შეხედა და უთხრა:

— აბა, სცადე და შენ თვითონ აუწიე!

— მე თვითონ? როგორ?— გაუკვირდა ზაზას და მაგიდაზე ნიკაპი შემოსდო.

— სულ მარცხნივ... აი, ამ ხელისაკენ რომ სატრიალოა, ის გადააბრუნე.

— ამ ხელისაკენ?—ზაზამ მარჯვენა ხელი მარცხენაზე მოიკიდა, ჯერ გაუბედავად გადადგა ნაბიჯი, მამას გადმოხედა, მერე გაიქცა და მეზობელ ოთახში მიიმალა.

უეცრად რადიოს სულ ჩაუწყდა ხმა.

— ეგრე არა, მეორე მხარეს გადააატრიალე,—გასძახა მამამ.

— ფანჯრისაკენ?

— ჰო, ფანჯრისაკენ.

რადიომ კვლავ ამოიღო ხმა, მერე თანდათან გაძლიერდა სიმღერა, ისე რომ სიტყვებიც გარკვევით ისმოდა.

— საკმარისია!—შენიშნა მამამ.

ზაზა ისე იყო გახარებული, რომ მამისთვის არც კი შეუხედავს, დერეფანში გავარდა და სამზარეულოს კარს მიადგა.

— დედა, ახლა გესმის?

— ჰო, ახლა კარგად მესმის.

ზაზა კვლავ მოწყდა ადგილიდან და ახლა ოთახის კარს მიადგა:

— მამა, დედამ თქვა, ახლა კარგად მესმისო!

— ძალიან სასიამოვნოა,—გაეღიმა მამას.

ზაზამ უეცრად მოიწყინა, თავი ჩაღუნა და ნელი ნაბიჯებით წავიდა სამზარეულოსაკენ. დიდხანს იდგა დედასთან, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ არ ამბობდა.

მამა კვლავ ოთახში იჯდა მაგიდასთან, წიგნს კითხულობდა და წერდა, კითხულობდა და წერდა. დედა ისევ სამზარეულოში ფუსფუსებდა. ზაზა კი იდგა და იდგა, დედას შეჰყურებდა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ არ ამბობდა...

«თვითონ მამა ეტყვის დედას, რომ რადიოს მე ავუწიე ხმა»,—გაიფიქრა ბოლოს და დერეფანში გავიდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელგუჯას დათვი

ვახტანგ ქახაძე ნახატი შ. ცხადაძისა

რომ იცოდეთ, რა კარგი დათუნა მოუტანა ელგუჯას დღეობაზე დეიდა ბაბომ! ბანჯგვლიანი, ბაჯბაჯა, რა ბრჭყვიალა თვალები აქვს. ფეხზედაც დგება და ჯდება კიდეც, თათები კი წინ გაუშვერია.

უკვე მეორე დღეა, სულ თან ატარებს ელგუჯა და კი არ მოსწყინდა...

— უჰ, რა ცხელა, არა? შენც ხომ გცხელა, დათუნი?! რას იზამ... რა კარგია, ასლა ერთი თოვლი მოდიოდეს,— რა მშვენიერი თოვლის ბაბა გააკეთეს მან და მზიამ ზამთარში. აუ, რამოდენა თოვლი იყო!.. რა იქნება, ამ სიცხეში მოვიდეს თოვლი, სიცივეში რომ მოდის. ხომ კარგი იქნებოდა, დათუნი? ამ ბაბანაქებაში თოვლში გაკოტრიალება რად ღირს!.. ის კი ზამთარში, ყველას რომ სცივა, მაშინ მოდის, ის ბენტერა, ისა!..

ელგუჯამ ჭასთან დიდი ვარცლი რომ დაინახა, ბანაობა მოუნდა. გაიქცა, მაგრამ ოწინარზე ჩამოკიდებულ ვედროს ვერ შესწვდა და დოქის წყალი დაასხა ვარცლზე. მერე შინიდან გრაფინის წყალიც მოარბენინა და ისიც დაამატა. ტანთ გაიხადა, ვარცლში ჩაჯდა და ჭყუმბალაობას მოჰყვა.

— შენ, დათუნი!? შენც გინდა, ხომ! მოდი ჩემთან, მოდი, ორივე დავეტევით, შენც გაბანავებ, — უთხრა და წყალში ჩასვა.

მერე, რა მოხდა? ბანჯგვლიან დათუნას მთელი ტანი მოეფუშა. სულ დაუშნოვდა. ბევრი ალამაზა, ბევრი უტრიალა ელგუჯამ, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. შემდეგ გაწურვა დაუწყო. სარეცხიერით დაუგრიხა ხელ-ფეხი. სულ დაუშნოვდა დათვი. მუცლიდან ბამბებიც გამოუცვივდა. ატირდა ელგუჯა, აუვირდა, მაგრამ გვიანღა იყო. დეიდა ბაბოს ნაჩუქარ დათვს წელის წვეთები ცრემლებივით ჩასდგომოდა თვალებში და ისე იცქირებოდა, თითქოს ამბობდა:

ეს რა მიყავ, ელგუჯა, შე ეშმაკო, შენა! სათამაშოების წყალში ჭყუმბალი ვის უნახავს! ჩვენ არასოდეს არც გვცივა და არც გვცხელაო!

ლავრენტი ჭიჭინაძე ნახატი ბ. როინიშვილისა

თავისი სურვილით

ზარმაციაო, აბა, ვინ იტყოდა მერაბზე; დიღით ყველაზე ადრე დგებოდა. არც სკოლაში იგვიანებდა. კარგადაც სწავლობდა. მაგრამ სამაგიეროდ შინ წყლის მოტანაზეც კი ცივ უარს იტყოდა ხოლმე.

აი, თუნდაც... ეს მოხდა კვირა დღეს.

— მერაბ, მოდი, პური მოარბენინე!—უთხრა დედამ.

— ვსწავლობ, დედა, არა მცალია.

— კარგი, ახლა ხელს არ შეგიშლი.

გავიდა რამდენიმე ხანი.

მერაბი სათამაშოდ ჩავიდა ეზოში. კვლავ დაუძახა დედამ:

— ახლა მაინც მოიტანე პური.

მერაბი გაჩერდა. ის იყო, დედას ფული უნდა მიეწოდებინა, რომ შემოესმა:

— მე ჯერ არა მშია.

— შენც ხომ ჭრიჭინა არა ხარ, რომელიც ზაფხულში სულ დაჭრიჭინებდა, დახტოდა, ხოლო ზამთარში მოაგონდა ზამთრის საზრდო.

დედა-შვილის დავა გრძელდებოდა

მათმა დავამ ალარც მე მომასვენა. ვიფიქრე, მოდი, საქმეში მეც ჩავერევი-მეთქი. მივდიოდი და ვფიქრობდი: რა უნდა მეთქვა ისეთი, რომელიც საქმეს გააკეთებინებდა მერაბს. ჩემი იქ მისვლა და სიჩუმის ჩამოვარდნა ერთი იყო.

მერაბ, დედას ხომ ეხმარებიბი?—შევეკითხე.

— დიი-ახ.

ეს პატარა სიტყვა ძალიან გრძელად წარმოთქვა, მერე დედას მიუბრუნდა:

— დედა, მომეცი ფული, პურს მოვიტან.

დედას გაეცინა:

— ნეტავ ძია გიგო აქამდე მოსულიყო.

მე ვითომ არაფერი ვიცოდი, ძალიან კი გამეხარდა, პურის მოსატანად რომ თავისი სურვილით გაიქცა მერაბი...

მაგრამ ჩემს მისვლამდე რომ წასულიყო, უფრო უკეთესი არ იქნებოდა?!

კორნეი ჩუკოვსკი

ნახატები ან. კანდელაკისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეუპნია

საოცრებას რომ იტყვიან,
აი სწორედ ეს არი:
სადღაც გაქრა საბანი
და თან გაჰყვა ზეწარი.
—მეც იქ მივალ, მეც იქ მივალ,
ნუ მაკავებ... გამიშვი!—
ბაყაყივით ხტის და სადღაც
გარბის... გარბის ბალიშიც.

სანთელს მივწვდი,
მან კი ბუხარს
მიაშურა გიზგიზას;
წიგნი? წიგნმაც დამცინავად
ტახტქვეშ გადიკისკისა.

ჩაი მინდა რომ დავლიო,
ჭიქა ჩაი რა გახდა!
მაგრამ დაფრთხა ჩაიდანი
და... სარკმლიდან გადახტა!

ნეტავ
ეს რა ამბავია.
ეს რა მოხდა ამისთანა?
ყველაფერმა მიმატოვა,
არავინ არ გამიტანა.

უთოები ჩექმებს მისდევს,
ჩექმები კი—ხაჭაპურებს,
მაშა—ქამარს, ქამარი კი
ყველას რისხვით გადაჰყურებს.

არც ქარია, არც ფანტელი,
მაინც მივლის ურუანტელი.

აგერ, დედის ოთახიდან
წარბშეკრული, ბრაზით სავსე
გამობობღდა პირსაბანი
და მუქარით მითხრა ასე:
—შე ბინძურო, შე თხუპნია,
წვირიანო საფრთხობელავ!
„ბუხრისმწმენდელს
მიგავსო",—

„სამი მოგზაური"

გაგრძელება. (იხილე „ლილა" № 6)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასე ამბობს შენზე ყველა.
სახე ისე გაგიმურავს,
არც თვალი ჩანს, ალარც წარბი,
შენ ისეთი ხელები გაქვს—
რომ შარვალი,
შარვალიც კი
გამალებით სადღაც გარბის.
დილით ადრე—თაგვი რაა,
იხვი რაა, ანდა ფისო,
ან მურია, ან ობობა—
(შენ ხომ ამათ კარგად იცნობ!)
ისინიც კი პირს იბანენ,
რომ არავინ არ ედავოს,
მაგრამ
შენ კი,
შენ კი ზიხარ
ბინძური და უსუფთაო!
მე ვარ დიდი პირსაბანი,
„სულ იბანე" უცნაური,
პირსაბანთა უფროსი და
პირსახოცთა მეთაური!

იატაკზე ფეხს რომ დავკრავ.
რომ მოვუხმობ ჯარისკაცებს,
პირისაბნებს ჩემი სიტყვა
უმალ ისე გაიტაცებს,
რომ სასწრაფოდ ამ ოთახში
შემოვლენ და... ნახე მაშინ,
რა ხმაური შეიქნება,
რა ღრიალი, რა განგაში!
მაშინ ნახავ: ეგ სიგლახე
დაგიჯდება თუ რა ძვირად—
ქაშანურის სარეცხელში
ჩაგაგდებენ თავდაყირა!—

პირსაბანმა ტაშტს შემოჰკრა,
ყველა შიშით გაირინდა,
ჯაგრისები შემოცვივდნენ
ზურნითა და დაირითა.
მომდგნენ—
მხეხეს,
მხეხეს,
მხეხეს,
წყალიც ბევრი მასხეს თავზე.
მრისხანე და ულმობელნი
იძახოდნენ თანაც ასე:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

—ვაბანავებთ ამ თხუნელას.
დე, ესმოდეს ყველას, ყველას,
დაგვაცადეთ: გვყავდეს სულ
მთლად
სუფთა,სუფთა,სუფთა, სუფთა!

აქ საპონიც შემოვარდა,

მაქანავა აქეთ-იქით,
მრეცხა,
მრეცხა,
ბევრი მრეცხა,
ხანაც მკბენდა,როგორც ბზიკი.
ჯაგრისმა სულ გამათავა,
წამითაც არ გამახარა.
გავექეცი—დამედევნა,
რა ქუჩა არ დამატარა!
ქალაქის პარკს მივაღწიე,
გადავახტი რკინის მესერს,
იქაც მომწვდა—გამკრა კბილი,
გამწარებით დავიკვნესე!
და უეცრად ძველ მეგობარს—

ჩემს საყვარელ ნიანგს ვხედავ,
პაწაწინა ნიანგებით
მუხის ძირას შემეფეთა.

და ჯაგრისი, როგორც ფაფა,
ასწია და გადაყლაპა.

მერე ჩემსკენ შემობრუნდა,
ბრაზიანი და უკმეხი,
დაიქუხა შემზარავად,
მიწას მაგრად დაჰკრა ფეხი
და მიბრძანა:—შე თხუპნიავ!
დააშურე სახლში წასვლა,
თორემ შავ დღეს დაგაყენებ,
გაგთელავ და გადაგსანსლავ!

შინ მივქროდი, როგორც ქარი,
ჰა, შევაღე სახლის კარი,—
საპნით,
საპნით,
მხოლოდ საპნით
დავიბანე კარგად პირი,
საპნით,
საპნით მოვიშორე
ქვარტლი, ლაქა და ნახშირი!



და მაშინვე ეს შარვალი,
ეს წუღა და ეს წინდები
ადგილიდან წამოფრინდნენ,
ხელში მომხვდნენ თავის ნებით
ხაჭაპურიც მოჰყვა ამათ,
ძალით თავი შემაჭამა!

აი, აგერ ბუტერბროდიც
მიცინის და ჩემსკენ მოდის!

დამიბრუნდნენ რვეულები,
ყველა ჩემთან გაჩნდა ისევ,
ერთმა წიგნმა მეორე წიგნს
საცეკვაოდ უხმო მყისვე!

მაშინ დიდი პირსაბანი,
„სულ იბანე" უცნაური,
პირსაბანთა უფროსი და
პირსახოცთა მეთაური—
მომეხვია ცეკვა-კოცნით
და ამნაირ სიტყვებს
მტყორცნის:
—აი, ახლა კი მიყვარხარ,
აი, ახლა გეტყვი ქებას!
როგორც იქნა, შე თხუპნია,
შეგხედე და ვიგრძენ შვება.
პირისა და ხელის ბანა
მარტო დილით უნდა განა?
საღამოთიც, საღამოთიც!—
ჰიგიენამ ასე ბრძანა.

ბინძური და უსუფთაო
(გინდ გეამოთ, გინდ
გეწყინოთ)
სადაც შეგხვდეთ, ყველგან
უნდა
გაკიცხოთ და შეარცხვინოთ.

გაუმარჯოს სურნელოვან
საპონს,
პირსახოცსაც სულ დიდი დღე
ჰმატოს!

კბილის ფხვნილსაც,
სავარცხელსაც მუდამ
ხმარება და სულ ხმარება უნდა!

მაშ, პირის და ტანის ბანას
ნურასოდეს ვაგვიანებთ!
განა ცოტა გაგვაჩნია
ვარცლი, ტაშტი, გობი, გეჯა,
მდინარე თუ ოკეანე!

აბანო და აბაზანა
სულ ჩვენზე არ ზრუნავს განა?

წყალს—კრიალას და ანკარას,
ყველამ ქება ვუთხრათ მარად!

თარგმანი არნო ონელისა



დათვლილი ღორები

ინგლისური იუმორი

ერთ გლეხს თორმეტი ღორი ჰყავდა. ერთხელ მან თავისი პატარა ბიჭი მათ დასათვლელად გაგზავნა. ბიჭი შეწუხებული დაბრუნდა შინ.

— ყველანი არიან, შვილო? — შეეკითხა მამა.

— იცი რა, მამიკო, მე მხოლოდ თერთმეტი დავითვალე. ერთი ღორი კი ისე შორს გაიქცა, რომ ვეღარ მივათვალე.

ჭკვიანი ბიჭი

ერთხელ დედა არიგებდა თავის ბიჭს:

— შვილო, რისი გაკეთებაც დღეს შეგიძლია, ის არასდროს არ გადადო სახვალიოდ.

— დედიკო, მაშ მოდი და დღესვე შევჭამოთ სადილზე მორჩენილი ქიშმიში.

ინგლისურიდან თარგმნა **გივი დოლიძემ**

გოლიდი

თინა ყვირიკაძე

ძაღლს ნახავს და აკივდება,
მიაშურებს სახლს მაშინვე.
ხელში როცა აიყვანენ,
ჰამ-ჰამ, ჰამ-ჰამ!—სხვას აშინებს.

არსებაა
თოვლზე ცივი,
ზღვაში ცურავს,
როგორც ტივი.
შესახედად
ყინულსა ჰგავს,
არც თავი აქვს
და არც პირი.
არც შხამავს,
არც იკბინება,
თუ დაგშუშხა,
იგრძნობ გვიან,
ყინულივით
მზეზე დნება,
მას .....ს
ეძახიან.

ლევან გელაძე



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბებიკოს ვთხოვე:—ბოჩოლას
მე ვაბალახებ ამ დილით,
შენ სახლში დარჩი, ბებიკო,
მე ამისრულე წადილი.—
ბებოს პატარა ვგონივარ
და არ მენდობა ნამდვილად.
ამბობს: „მინდორში ორივე
დაიკარგებით ადვილად!“

ორიანი სკოლაში
რომ მიიღო ვახტანგმა,
გზაზე დახვდნენ იხვები,
დასძახიან: ვახ!
ვახ!
ვახ!
ორიანი, ზარმაცო,
მიიღეო რამდენი?
სს... სს...
სს... სს...
სირცხვილო!—
დასცინიან ბაჭებიც.

მოთა როყვა

როგორ წამაქცია

ბაბუს წყალი სურდა,
გავიქეცი მარდად,
ქვას წამოვკარ ფეხი,
ჭიქა გამივარდა.
დაენარცხა მიწას,
ნამსხვრევებად იქცა,
როგორ წამაქცია
ამ ქვამ ერთი ციცქნამ.

ლეილა ერაძე



ფაჩუჩები

ლოლო ვალაჭკორია

ნახატი ბ. ფოცხიშვილისა

— ბაკ-ბუკ, ბაკ-ბუკ! — ისმოდა ოთახში ლიზიკოს ფეხის ხმა.

— ჩუმად იარე, ნუ ხმაურობ, — უთხრა ბაბამ.

ლიზიკო ცდილობდა ჩუმად გაევლო, მაგრამ ფეხსაცმელი თავისას არ იშლიდა.

— ბებო, ჩუმი ფეხსაცმელი მიყიდე, — სთხოვა გოგონამ ბებოს.

ბებომ ლიზიკოს ფაჩუჩები შეუკერა.

როსტომ ბექანიშვილი

ნახატი ბ. ფოცხიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საათი

მამაჩემი მაღალი კაცია. ძმა ცოტა დაბალია, მაგრამ ისიც ძალიან ლონიერია.

დედა ამბობს: არაფერი არ უნდა გადავაგდოთ, რაც მამას აღარ გამოადგება, ის შვილს მშვენივრად მოერგებაო.

დედა რომ იტყვის, მერე ეხვეწე, რამდენიც გინდა. თქვა და გათავდა.

მისი სიტყვა ახლაც ასრულდა. მამას ჩექმები ჰქონდა, მე შიგ ორივე ფეხით ვჯდებოდი კატასთან ერთად, მას კი დაუპატარავდა. როდი გადაუგდია. ჩემმა უფროსმა ძმამ ჩაიცვა და მთელი დღე დააბრახუნებს.

ჩვენს დაბლა ერთი მოხუცი ქალი ცხოვრობს. ხმაურზე ამოვიდა და იკითხა: რა ამბავია, სახლი ხომ არ ინგრევაო.

მე ოთახში შევიხედე და დავინახე, რომ ყველაფერი რიგზე იყო.

მამას ჩექმები ძმამ ხომ ჩაიცვა, ორი თვის შემდეგ შარვალშიც გაუყარა ფეხი. მომავალ წელს, ფიქრობს, პალტოს ჯერიც მოვაო.

მამას მაჯაზე ერთი ძალიან ლამაზი, ლამე რომ ანათებს, ისეთი საათი უკეთია.

საათი ჯერ დიდი და ახალია. სანამ ის დაუპატარავდებოდეს მამას, ჩემი ძმა უკვე დიდი იქნება და თვითონ იყიდის.

ისე რომ საათი ჩემი იქნება.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გურამ კლდიაშვილი

ჩემს ეზოში ცხოვრობს ერთი
თმახუჭუჭა ბიჭი,
მახსოვს, წინათ ვეძახოდი:
— ალუუ... კიჭი... კიჭი...

უკვე ოთხი წლის გამხდარა,
ხუმრობაა ვითომ?!
თვითონ დგება, თვითონ წვება,
ტანზე იცვამს თვითონ.

მაგიდა აქვს საკუთარი
და პატარა სკამი,
მანქანაც ჰყავს, დათვლაც იცის:
— ერთი, ორი, სამი...

ახლა უკვე დიდი არის
თავქოჩორა ბიჭი,
გული მოსდის, როცა ვეტყვი:
— ალუ... კიჭი, კიჭი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიბირი

როდიონ ქორქია ნახატი **ქ. მახარაძისა**

ზღაპარი

ერთხელ ერთმა კაცმა სამოსახლოდ მზიანი ადგილი შეარჩია, შემოღობა და ოდა-სახლი დაიდგა. სახლი რომ დაიდგა, შეშას მოვიმზადებო, იფიქრა. აიღო ცული და მიადგა ხეებს. როცა ერთ ხეს ცული მოუქნია, ხემ უთხრა:

— რას მემართლები? ეს ოდა-სახლი რომ დაიდგი, სტუმრები ხომ გეყოლება? ჰოდა, ხომ უნდა მიართვა მათ შაქარივით ტკბილი ხილი?

— შენ რა გქვია?—ჰკითხა კაცმა.

— მე ბალი ვარ,—უპასუხა ხემ. კაცმა დატოვა ის. ახლა სხვა ხეს მიადგა და მოუქნია ცული.

— რას მემართლები?—უთხრა ხემ.— თეთრი ყვავილით რომ გადავიპენტები, ეზოს დაგიმშვენებ. ლოყა რომ ამიწითლდება—პირს ჩაგიტკბარუნებ. თუ გინდა ბავშვებმა შეგიყვარონ, მე უნდა ჯიბით მატარო.

— რა გქვია?—ჰკითხა კაცმა.

— მე ვაშლი ვარ,—უპასუხა ხემ. დატოვა კაცმა ეს ხე და ახლა სხვას მიადგა.

— რას მემართლები?—უთხრა ხემ,— რომ იცოდე, რა ტკბილი ვარ, რა გემრიელი! დიდიც და პატარაც ერთნაირად მეტანება. ხანჯლის შვილს*) რომ ამოიღებ ქარქაშიდან და დამთლი, ნაჭერ-ნაჭერ რომ დამაწყობ თეფშზე, რა სჯობია მაშინ მეზობელთან ან ამხანაგთან მასლაათს?

— შენ რა გქვია?—ჰკითხა კაცმა.

— მე მსხალი ვარ,—უპასუხა ხემ. დატოვა კაცმა ხე და ახლა სხვას მიადგა.

*) ხანჯლის შვილი—ხანჯლის ქარქაშიდან ჩადებული ხილის სათლელი პატარა დანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას მემართლები?—უთხრა ხემ.— შემოდგომის პირას ჩემზე უკეთესი რომელი ხილი იქნება? მეტად ნაზი ვარ და ფაქიზი. ტუჩებს რომ გავხსნი და თეთრად გავიცინებ—თაფლი ვარ, თაფლი... ახლა თუ მზეზე გამახმობ და მძივად ამასხამ, ერთი მნახე, ზამთარშიც რა ვიქნები? ან თუ მომხარშავ და ტაბაკზე დამაგებ, შემდეგ ლავაშ-ლავაშ ამჭრი და ტკბილიკვერად დამახვევ!.. ოჰ, რომელი ერთი გიამბო?..

— რა გქვია? ჰკითხა კაცმა.

— მე ლეღვი ვარ, უპასუხა ხემ.

დატოვა კაცმა ხე და ახლა სხვას მიადგა. მოუქნია ცული.

ამან კი გაიცინა. გაიცინა და ლამაზი ვით წითელი კბილები გამოაჩინა. კაცს მოეწონა გულმხიარული ხე და ჰკითხა სახელი.

— მე ბროწეული ვარ,—უპასუხა ხემ. დატოვა კაცმა ისიც.

ასე ჩამოუარა ატამს, ქლიავს, ტყემალს, კაკლის ხეს, მაგრამ ყველამ თავი მოაწონა და მოსაჭრელად ვერც ერთი ვერ გაიმეტა.

ბოლოს ერთ მაღალ ხეს მიადგა. ეს ხე კი უყვავილო იყო, მაგრამ ამაყი, ლამაზი. მოუქნია კაცმა ცული, ამას მაინც მოვჭრიო.

— აბა, დაფიქრდი, რას სჩადიხარ?— უთხრა ხემ.—მართალია, მე ხილს ვერ მოგცემ, საჭმელად ვერ გამოგადგები, მაგრამ ვერა ხედავ, რა მაღალი, რა თეთრი ვარ! რა ლამაზი ტანი მაქვს! კაცი ხომ მარტო ჭამისათვის არ გაჩენილა? თვალიც უნდა გაახაროს ადამიანმა...

ჩაფიქრდა კაცი. მართლაც, თვალსაც უნდა სიხარული ამ ქვეყანაზე.

— რა გქვია?—ჰკითხა კაცმა ხეს.

— ჭადარი მქვია,—უპასუხა ხემ.

აი, როგორ დარჩა ჭადარიც ეზოში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხუთი ძმა

ბირმული ზღაპარი

ცხოვრობდა ხუთი ძმა. უფროსი ღონიერი და მოხერხებული იყო და ძმებიც ყოველთვის უჯერებდნენ. მას ჯირკუტანას ეძახდნენ, რადგან დაბალი, ჩაფსკვნილი და ღონიერი გახლდათ. მეორე ძმას ჩხუბისთავი ერქვა—მუდამ პირველი ერეოდა ჩხუბში. მესამე ძმას აყლაყუდას უწოდებდნენ — ისეთი მაღალი ტანი ჰქონდა. მეოთხეს მეტსახელად მდიდარს ეძახდნენ, რადგან პრანჭია იყო და ძვირფას სამკაულს ატარებდა. უმცროს ძმას კი უბრალოდ ნაბოლარას ეძახდნენ.

ერთხელ ხუთივე ძმამ მოგზაურობა მოისურვა.

— საით წავიდეთ? — იკითხა მდიდარმა.

— საითაც გვინდა! — დაიყვირა ჩხუბისთავმა, რომელსაც ძალიან უყვარდა მოულოდნელი თავგადასავლები.

— ეს ძალიან შორს ხომ არ იქნება? — დაინტერესდა ნაბოლარა, — მე ხომ არ დავიღლები?

— აგერ, უკვე მზე ამოდის. წავიდეთ და შევხვდეთ! — შესთავაზა დანარჩენებს აყლაყუდამ, რომელიც ყოველივეს სხვებზე ადრე დაინახავდა ხოლმე.

— წინ! — ბრძანება გასცა ჯირკუტანამ და ძმები გაუდგნენ გზას. უცბად დაინახეს: გზაზე ერთი ბერიკაცი ზის და ტირის.

— რა გატირებს? — ჰკითხა ჯირკუტანამ.

— ბოროტმა თხაკინმა სახლიდან გამომაგდო. ახლა ღამის გასათევი არა მაქვს, — უპასუხა ბერიკაცმა.

— ბოროტ თხაკინს ჩვენ გავაგდებთ! — წამოიძახა ჩხუბისთავმა.

მალე ისინი ბერიკაცის ქოხს მიადგნენ. ჩხუბისთავმა ბრძოლაში გამოიწვია საშინელი გოლიათი. მან წამოდგომა ვერ მოასწრო, რომ აყლაყუდამ მაშინვე თავური დაარტყა. გოლიათმა შეჰყვირა და ტკივილისაგან დაიგრიხა. ხოლო როცა წელში გაიმართა, მზეს გადაეფარა, ისეთი დიდი და მსხვილი აღმოჩნდა.

თხაკინი ძალზე ძლიერი, მაგრამ მოუქნელი იყო. სურდა, მტრები სათითაოდ გაელახა, მაგრამ ამაოდ იქნევდა მკლავებს. ძმები სულ ერთად იყვნენ, ერთმანეთს იცავდნენ. მათ კარგა ლაზათიანად მიბერტყეს თხაკინი და მან გაქცევით უშველა თავს.

ნახატი **გ. თოთიბაძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— სულ ერთია, ბერიკაცს სახლი მაინც არ დარჩება!—მიაძახა თხაკინმა და კედელს ყველაზე დიდი ძელი გამოაძრო. ქოხი დაინგრა, სახურავი კი გვერდზე გადაყირავდა.

— დარჩება!—გადაწყვიტა ხუთივე ძმამ. ჯირკუტანამ ბოძს ცალი მხრიდან წაატანა ხელი, ოთხი ძმა კი მას მეორე მხრიდან მიეხმარა და გაჩაღდა მუშაობა. როცა ბერიკაცმა თავის ეზომდე მიაღწია, სახლი თითქმის მზად იყო.

— მადლობელი ვარ, რომ მომეხმარეთ. ამიტომ ერთ საიდუმლოებას გაგანდობთ: ბოროტმა თხაკინმა სახლიდან იმისათვის გამომაგდო, რომ ჭაში საუნჯე მაქვს დამალული. ადრე ამის შესახებ არავინ იცოდა, ახლა კი წყალმა ჭის კედლები გადარეცხა და

თხაკინმა სკივრი დაინახა. მაგრამ მე ძლიერ სუსტი ვარ, თხაკინი ძალზე სქელია; ვერც მე და ვერც მან ვერ შევძელით საუნჯის ამოღება. მე მინდა, რომ ის თქვენ წაიღოთ,—უთხრა ძმებს ბერიკაცმა.

აყლაყუდამ სკივრი ამოიღო, ჯირკუტანამ და ჩხუბისთავმა ჩამოართვეს. მდიდარმა ჭაში ჩაიხედა, ხომ არაფერი დარჩათო, და ნაბოლარას ამოსვლაში დაეხმარა.

ძმებმა თქვეს: საუნჯე ჯირკუტანას უნდა ერგოს, რადგან ყველაზე უფროსია. ჯირკუტანამ უპასუხა: საუნჯე ჩხუბისთავს ეკუთვნის,—თხაკინთან ბრძოლა მან წამოიწყოო. ჩხუბისთავმა თქვა: სკივრი აყლაყუდამ უნდა წაიღოს, ის პირველი ჩავიდა ჭაშიო. მაგრამ აყლაყუდა არ დათანხმდა:

— საუნჯე მდიდარმა უნდა წაიღოს,—გადაწყვიტა აყლაყუდამ,— მას ხომ ფუფუნება უყვარს!

მდიდარმა ნაბოლარაზე მიუთითა და თქვა, რომ იგი ყველაზე პატარა და სუსტია და საუნჯე ყველაზე მეტად დასჭირდებაო. ნაბოლარამ კი უარი განაცხადა: ასეთი უხვი ჯილდო არაფრით დამიმსახურებიაო.

ძმებმა იდავეს, იდავეს. უცბად დაინახეს, რომ ბერიკაცი ზღურბლზე ზის და უმარილო ბრინჯს შეექცევა. ისე ღარიბი იყო, მარილის ყიდვაც კი არ შეეძლო. ძმებმა ერთმანეთს გადახედეს და საუნჯე მოხუცს დაუბრუნეს.

— წავიდეთ, ჩვენს გზას გავუდგეთ,—შეჰყვირა ჩხუბისთავმა.

— ცოტა საქმე როდი გველის!— თქვა აყლაყუდამ.

— წინ!—გასცა ბრძანება ჯირკუტანამ და ძმებიც უკან მიჰყვნენ.

ახლა კი, ჩემო პატარა მეგობარო, დახედე შენს ხელს! შენც გყავს ხუთი ამხანაგი, რომლებიც მუდამ მზად არიან შენს დასახმარებლად. შენი ცერი—ეს ხომ იგივე ჯირკუტანაა. ხედავ, როგორი სქელი და ღონიერია! საჩვენებელი თითი კი, რა თქმა უნდა, ჩხუბისთავია. როცა შენ ვისმე აბრაზებ, ამ თითით ემუქრები. შენი შუა თითი — ნამდვილი აყლაყუდაა, რადგან ყველაზე გრძელია. მის გვერდით კი—მდიდარია; დედაშენი მასზე ბეჭედს ატარებს. ყველაზე პაწია ნეკია,—ნაბოლარა ძამიკო. თუმცა სუსტია, მაგრამ ცდილობს, სხვებს არ ჩამორჩეს.

აი, ხომ ხედავ, როგორი ერთგული მეგობრები გყავს! როცა გაიზრდები, ისინი უსათუოდ აგიშენებენ და შეგძენენ ყველაფერს, რასაც შენ მოისურვებ.

თარგმნა **გ. ხომერიკმა**

7-269

6-123/132

თამაშობანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კენჭაობა

ზაქარია შერაზადიშვილი

ორონა,
სამონა,
ოთხონა,
კაფა,
ითამაშე
მარჯვედ,

ითამაშე
სწრაფად.
კენჭაობა
არ იცი,
რაღა იცი
აბა!

„ჭურობანა“

ჭურობანა გააჩალეს,
თამაშობენ ხუთნი,
ჭინჭრებიან ბალახებში
გადუგორდათ ბურთი.

ორმა ხელი დაითუთქა,
სამი შესვლას უკრთის,
ჭინჭრებიდან წითელ-
ყვითლად
იჭყიტება ბურთი.

ნახატი ალ. გიგოლაშვილისა

ძიძგი-ძიძგი

ასკინკილა კინკილა,
ძიძგი-ძიძგი, მამალა!
გადაიჭდო ხელები,
ცალი ფეხი დამალა.

გამოქანდა, მეხივით
დაეჯახა მეტოქეს,
ლამის არის მათ ფეხქვეშ
დედამიწა შეტოკდეს.

დაეჯახნენ ხელახლა,
დაიხიეს იმწამსვე,
მეორე ფეხს არც ერთი
არ აკარებს მიწაზე.

ყდის მხატვრობა ეკუთვნის გრ. ჩირინაშვილს. მაკეტი შეადგინა გ. როინიშვილმა

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) გამოცემის ოცდამეათე წელი ფასი 2 მან

ДИЛА—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии № 7, июль 1957 г. Тбилиси, Просп. Плеханова 91.
საბლიტბამი, რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრსპ. 91, ტელ. 3-37-38. გამომც. შეკვ. № 250 სტამბის შეკვ. № 1026
ტირაჟი 17000 უე 01248 ხელმოწერილია დასაბეჭდად 1. VI 1957 წ. ჟურნალი დაბეჭდილია ლითო-ოფსეტურ პეჭდვის ფაბრიკაში